



საქართველო

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



ქალაქი ფოთი

№ 04/1582

25 / ოქტომბერი / 2019 წ.



KA000070609744119

ქალაქ ფოთში, დავით აღმაშენებლის ქუჩაზე, ნელი არზიანის ქუჩაზე და ალექსანდრე ჭავჭავაძის ქუჩაზე მდებარე უძრავი ქონების ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრაციის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 107-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის, „თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწისა და სახელმწიფოს ქონებაზე (წიალის ჩათვლით) დამაგრებული და სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით არსებული საზოგადოების ქონებაზე დამაგრებული მიწების, აგრეთვე იმ მიწების, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ექვემდებარება დასახლებული კატეგორიის ქონებაზე დამაგრებას, განსაზღვრისა და გამიჯვნის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის, 2007 წლის 24 ოქტომბრის, N233 დადგენილების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს, 2019 წლის 22 ოქტომბრის, N 5/62109 წერილის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

მუხლი 1. ქალაქ ფოთში, დავით აღმაშენებლის ქუჩაზე მდებარე 491.00 კვ.მ., ნელი არზიანის ქუჩაზე მდებარე 546.00 კვ.მ. და ალექსანდრე ჭავჭავაძის ქუჩაზე მდებარე 440.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები დარეგისტრირდეს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებად, დამატებითი ქონების სახით.

მუხლი 2. ეთხოვოს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებად დაარეგისტროს ბრძანების პირველ მუხლში მითითებული უძრავი ქონება, თანდართული საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზების (ელ. ვერსია) შესაბამისად.

მუხლი 3. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს კონსტანტინე თოფურიას.

მუხლი 4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მის. ქალაქი ფოთი, დავით აღმაშენებლის ქუჩა N 3).

მუხლი 5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი

ხელმოწერილია/
შტამბდასმულია
ელექტრონულად

გონა კურდღელია